

**შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი
მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა
მართვის ცენტრი“**

**კონსოლიდირებული ფინანსური და
მმართველობის ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9

ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირებული განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. ამონაგები	13
5. სხვა შემოსავალი.....	13
6. მარაგები	13
7. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	14
8. სხვა ხარჯები	14
9. ძირითადი საშუალებები.....	15
10. საინვესტიციო ქონება	16
11. საგადასახადო აქტივები.....	16
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
13. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები.....	16
14. სხვა რეზერვები.....	17
15. მიღებული სესხები.....	17
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20
19. პირობითი ვალდებულებები.....	20
20. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	21

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.....	26
---	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს (ერთიანად, შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს მსს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექნდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც ისინი აუცილებლად მიიჩნევენ ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი, 2021 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინვესტიურ დაავადებათა მართვის ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს (ერთიანად, შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს მსს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც ისინი აუცილებლად მიიჩნევენ ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი, 2021 წელი

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	4	21,810	20,152
სხვა შემოსავალი	5	174	1,280
მარაგების ხარჯი	6	(5,336)	(4,618)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	7	(11,708)	(10,950)
ცვეთა და ამორტიზაცია	9, 10	(1,820)	(1,816)
სხვა ხარჯები	8	(1,600)	(1,766)
საოპერაციო მოგება		1,520	2,282
საპროცენტო შემოსავალი		115	26
საპროცენტო ხარჯი	15	(2,341)	(2,441)
მოგება (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა		53	(412)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(653)	(545)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გია გრძელიძე

მთავარი ბუღალტერი

სალომე შენგელია

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	4	21,810	20,152
სხვა შემოსავალი	5	174	1,280
მარაგების ხარჯი	6	(5,336)	(4,618)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	7	(11,708)	(10,950)
ცვეთა და ამორტიზაცია	9, 10	(1,820)	(1,816)
სხვა ხარჯები	8	(1,600)	(1,766)
საოპერაციო მოგება		1,520	2,282
საპროცენტო შემოსავალი		115	26
საპროცენტო ხარჯი	15	(2,341)	(2,441)
მოგება (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა		53	(412)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(653)	(545)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

 გ. გ. გ. გ.

მთავარი ბუღალტერი

 სალომე შენგელია



შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	14,853	15,798
საინვესტიციო ქონება	10	718	744
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		200	58
არამატერიალური აქტივები		2	2
		15,773	16,602
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	1,427	1,035
საგადასახადო აქტივები	11	9	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	4,275	5,111
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13	2,711	2,185
		8,422	8,341
სულ აქტივები		24,195	24,943
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სხვა რეზერვები	14	757	757
დაგროვილი ზარალი/გაუნაწილებელი მოგება		(661)	352
სულ კაპიტალი		96	1,109
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	1,118	19,342
		1,118	19,342
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	11	7	-
მიღებული სესხები	15	19,086	798
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,888	3,694
		22,981	4,492
სულ ვალდებულებები		24,099	23,834
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,195	24,943

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	757	1,143	1,900
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(545)	(545)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(246)	(246)
			-
2019 წლის 31 დეკემბერი	757	352	1,109
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(653)	(653)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(360)	(360)
2020 წლის 31 დეკემბერი	757	(661)	96

10 - 25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(653)	(545)
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,820	1,816
გრძელვადიანი აქტივების გავლით მიღებული მოგება	(28)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	68	-
საპროცენტო შემოსავალი	(115)	(26)
საპროცენტო ხარჯი	2,341	2,441
წმინდა (მოგება) ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(53)	412
	3,380	4,098
შემცირება (ზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:		
მარაგები	(426)	94
საგადასახადო აქტივები	(9)	(8)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	260	(1,967)
ზრდა (შემცირება) შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	746	575
საგადასახადო ვალდებულებები	17	-
	3,968	2,792
გადახდილი პროცენტი	(1,749)	(2,327)
მიმდინარე ანგარიშებიდან მიღებული პროცენტი	115	26
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	2,334	491
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(787)	(617)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	-	(343)
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	(200)	-
საინვესტიციო საქმიანობაში ამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(987)	(960)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	-	22,239
გადახდილი სესხები	(623)	(20,860)
გადახდილი დივიდენდები	(360)	(246)
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები	(983)	1,133
გაზრდილი წმინდა ფულადი სახსრები	364	664
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	2,185	1,502
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	162	19
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	2,711	2,185

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2012 წლის 14 თებერვალს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით - 412682501. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ქუთაისი, ფოთის ქუჩა #40.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილს:

დასახელება	ქვეყანა, სადაც კომპანია ძირითადად საქმიანობს	მაკონტროლებელი წილის ოდენობა
შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“	საქართველო	100%

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრისა“ და მისი შვილობილის ფინანსურ ანგარიშგებებს. შვილობილმა კომპანიამ აქტიური ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის ოქტომბერში.

ჯგუფში შემავალი კომპანიები წარმოადგენენ მრავალპროფილურ ჰოსპიტალებს, სადაც ხორციელდება როგორც სტაციონალური, ასევე ამბულატორიული მომსახურება. ჰოსპიტალების წამყვან მიმართულებებს წარმოადგენენ - ინტერვენციული კარდიოლოგია, სისხლმარღვთა ქირურგია, ნეიროქირურგია, ზოგადი ქირურგია და ინფექციურ დაავადებათა მართვა.

2020 წლის 26 ოქტომბრიდან, შვილობილი კომპანიაში თერაპიული დეპარტამენტი და რეანიმაციის ნაწილი გადაკეთდა COVID განყოფილებად (COVID რეანიმაციას ემსახურებოდა საშუალოდ 10 საწოლი, ხოლო COVID თერაპიას 75 საწოლი. საწოლების შექმნა აღნიშნულ განყოფილებებში მოხდა სხვა განყოფილებების საწოლების შემცირების ხარჯზე). COVID განყოფილება ფუნქციონირებდა დროებით, 2021 წლის 1-ელ მარტამდე. საქართველოს მთავრობა სრულად ანაზღაურებს COVID-ის მკურნალობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და COVID-იანი პაციენტების მიერ დაკავებულ ყოველ საწოლზე ფიქსირებულ ანაზღაურებას იხდის.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბადრი ჩაკვეტაძე	20%	20%
ნინო ქიმუცაძე	20%	20%
კახაბერი ყავლაშვილი	20%	20%
კობა აბუთიძე	20%	20%
შოთა ინგოროყვა	20%	20%
	100%	100%

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ათას ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია 20-ე შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კოვიდ-19 პანდემიის გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებსა და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე.

კოვიდ-19 გლობალური პანდემიის ეფექტი 2020 წელს გავრცელდა ფართო სეგმენტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ დააწესა სხვადასხვა შეზღუდვები პანდემიასთან საბრძოლველად, მათ შორის მკაცრი იზოლაცია, კარანტინი, ბიზნესების დროებითი დახურვა და მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა.

მოთხოვნის შემცირებამ საქონელსა და მომსახურებაზე, კაპიტალის გაუმჯობესებისა და მშენებლობის ინვესტიციების ნაკლებობამ, საქონლისა და ფინანსური აქტივების (კაპიტალისა და სასესხო ინსტრუმენტების) საბაზრო ფასების შემცირებამ, და გლობალური ჯაჭვის მოშლამ იმოქმედა ბიზნესის ყველა სექტორზე.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს არ შემცირებულა მნიშვნელოვნად მოთხოვნა მის სერვისებზე და მისი ოპერაციები.

კომპანია მუდმივად აფასებს კოვიდ-19 გლობალური პანდემიის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანია

შვილობილი არის კომპანიის მიერ კონტროლირებადი ინვესტირებული საწარმო. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და, ასევე, ამ შემოსავლებზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შვილობილის ფინანსურ ანგარიშგებებს მათი (შვილობილის) კონტროლის დაწყების თარიღიდან კონტროლის დამთავრების თარიღამდე.

კომპანიის შვილობილი, რომელიც შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, არის:

დასახელება	ქვეყანა, სადაც კომპანია ძირითადად საქმიანობს	31 დეკემბრისთვის მაკონტროლებელი წილის ოდენობა
შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“	საქართველო	100%

კომპანია სრულად იღებს შვილობილის შემოსავლებს და აკონტროლებს მის წმინდა აქტივებსა და საოპერაციო აქტივობებს.

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

დაბეგვრა

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად ჯგუფი საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“	15,380	15,248
თვითდინებით მოსული პაციენტები	4,730	4,061
სამედიცინო დაწესებულებებისთვის გაწეული მომსახურება	684	84
სადაზღვევო კომპანიები და მუნიციპალიტეტები	690	636
სხვა	326	123
	21,810	20,152

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი გრანტის მიღებიდან*	-	1,151
საიჯარო შემოსავალი	87	79
შემოსავალი პარკინგიდან	39	35
სხვა	48	15
	174	1,280

*2017 წლის დეკემბერში კომპანიამ აიღო სესხი სს "თიბისი ბანკისგან" 7,565 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ემსახურება როგორც ახალი საავადმყოფოს მშენებლობას, ასევე სამედიცინო აპარატურისა და სხვა სპეციფიკური სამედიცინო ინვენტარის შეძენას.

კომპანიამ მოიპოვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან გრანტი ღირებულებით 1,151 ათასი ლარი არსებული ინვესტიციის წახალისების მიზნით და მიღებული გრანტი აღიარა როგორც სხვა შემოსავალი. გრანტის პირობით განსაზღვრული ყველა ვალდებულება ჯგუფს შესრულებული ჰქონდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

6. მარაგები

მარაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სამედიცინო მარაგები და წამლები	1,352	966
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	75	69
	1,427	1,035

მარაგების ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მარაგის ცვლილება	392	(38)
წლის განმავლობაში შესყიდული მარაგი	(5,760)	(4,635)
კომპანიის მიერ შესრულებული და დაკაპიტალიზებული სამუშაოები	32	55
წლის მარაგის ხარჯი	(5,336)	(4,618)

7. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
სამედიცინო პერსონალის ხელფასი და სარგებელი	(8,589)	(7,559)
ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი და სარგებელი	(2,957)	(3,211)
სხვა	(162)	(180)
	(11,708)	(10,950)

8. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(313)	(612)
კომუნალური ხარჯი	(600)	(563)
სამეურნეო და საოფისე ხარჯი	(177)	(100)
დაცვის ხარჯი	(77)	(75)
საექვო მოთხოვნების ხარჯი	(68)	-
საკონსულტაციო მომსახურება	(55)	-
საიჯარო ქირა	(12)	(12)
პაციენტების კვების ხარჯი	(54)	-
სამედიცინო ტექნიკის შეკეთების ხარჯი	(58)	(28)
საკანცელარიო ხარჯი	(35)	(29)
კომუნიკაციის ხარჯი	(29)	(28)
მიმდინარე რემონტის ხარჯები	(23)	(105)
რეკლამის ხარჯი	(6)	(12)
საგადასახადო ხარჯი	(9)	(23)
სხვა ხარჯი	(84)	(179)
	(1,600)	(1,766)

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა და მიწის სარგებლობის უფლება*	შენობა	სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და კლინიკის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	477	7,330	9,143	1,644	42	18,636
შემოსვლა	-	42	488	133	-	663
გასვლა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	477	7,372	9,631	1,777	42	19,299
შემოსვლა	-	132	722	57	-	911
გასვლა	-	-	(97)	-	-	(97)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	477	7,504	10,256	1,834	42	20,113
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	(8)	(188)	(1,085)	(407)	(14)	(1,702)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(12)	(307)	(1,229)	(243)	(8)	(1,799)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	(20)	(495)	(2,314)	(650)	(22)	(3,501)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(12)	(308)	(1,225)	(234)	(8)	(1,787)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	28	-	-	28
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	(32)	(803)	(3,511)	(884)	(30)	(5,260)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	457	6,877	7,317	1,127	20	15,798
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	445	6,701	6,745	950	12	14,853

* 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის მიწის ისტორიული ღირებულება მოიცავს ფინანსურ იჯარას მიწის სარგებლობასთან დაკავშირებით, ღირებულებით 294 ათასი ლარი, რომელიც ჯგუფს მიღებული აქვს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისგან. მიწის სარგებლობას ცვეთა ერიცხება სახელშეკრულებო ვადის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები ღირებულებით 14,853 ათასი ლარი და 15,798 ათასი ლარი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, ჩადებულია უზრუნველყოფაში სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხების სანაცვლოდ. დეტალებისთვის იხილეთ მე-15 შენიშვნა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

10. საინვესტიციო ქონება

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩაზე N40-ში მდებარე მიწა და მასზე აშენებული სასტუმრო. მიწა, რომელზეც ჯგუფმა ააშენა სასტუმრო, აღებული აქვს 2017 წელს ფინანსური იჯარით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისგან. სასტუმროს ნომრების მთლიანი ფართობია 1,196 კვ.მ. შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 2019 წლის მარტში ღირებულებით, 761 ათასი ლარი. 2020 წელს სასტუმროს ტერიტორიაზე ავტო სადგომის მოწყობისთვის გაწეულია 7 ათასი ლარის ღირებულების კაპიტალური დანახარჯები. ჯგუფს სასტუმროს შენობა, შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით, გაცემული აქვს იჯარით ინდივიდუალური მეწარმისთვის, რომელიც ახდენს მის ოპერირებას. 2020 და 2019 წლების მანძილზე შენობაზე დარიცხულია ცვეთა 33 და 17 ათასი ლარი, ხოლო მისი საბალანსო ღირებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 718 და 744 ათასს ლარს, შესაბამისად.

11. საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამფუძნებელი კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით, თანხით 7 ათასი ლარი (ვალდებულება) და 10 ათასი ლარი (აქტივი), შესაბამისად. შვილობილი კომპანია კი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით 9 ათასი ლარი.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური აქტივები		
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“*	3,851	4,907
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	385	164
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	39	40
	4,275	5,111

*სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიმართ არსებული მოთხოვნა წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის გაწეული მომსახურების ღირებულების სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ ასანაზღაურებელ ნაწილს.

კომპანიის მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ ხდება ყოველთვიურად, რის შედეგადაც მხარეებს შორის ხდება შეთანხმება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაზე და თანხის ჩამორიცხვა სააგენტოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიმართ არსებული მოთხოვნა არის მოკლევადიანი და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

სხვა სავაჭრო მოთხოვნები და მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები არის მიმდინარე, არავადაგადაცილებული და არაგაუფასურებული.

13. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	9	11
ფული რეზიდენტ ბანკში	2,702	2,174
	2,711	2,185

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

13. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს იღებს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან უცხოურ ვალუტაში საშუალოდ წლიური 1.43%-ის ოდენობით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში საშუალოდ წლიური 5%-ის ოდენობით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებდა მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან უცხოურ ვალუტაში საშუალოდ წლიური 1.2%-ის და 2%-ის ოდენობით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში საშუალოდ წლიური 6%-ის ოდენობით. მიმდინარე ანგარიშებზე 2020 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი ჯამურად შეადგენს 115 ათას ლარს (2019: 26 ათასი ლარი).

14. სხვა რეზერვები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა რეზერვების ნაშთი 757 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს სარგებელს, რომელიც წარმოიქმნა დაკავშირებული მხარისგან (საბოლოო მფლობელები) შვილობილი საწარმოს მიერ უპროცენტო სესხის მიღების შედეგად. დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხების ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდა კაპიტალში სხვა რეზერვის მუხლში.

15. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020					
	საპროცენტო განაკვეთი	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი ვალდებულება	გრძელვადიანი ვალდებულება	სულ
სს „თიბისი ბანკი“	3.75%+რეფ. გან.	12.09.2019	12.09.2029	19,040	-	19,040
საბოლოო მფლობელებისგან მიღებული სესხი	7.95%	28.07.2016	12.09.2029	-	835	835
საბოლოო მფლობელებისგან მიღებული სესხი	-	28.12.2018	მოთხოვნამდე	42	-	42
				19,082	835	19,917
ფინანსური იჯარა				4	283	287
				19,086	1,118	20,204

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

	საპროცენტო განაკვეთი	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2019		სულ
				მოკლევადიანი ვალდებულება	გრძელვადიანი ვალდებულება	
სს „თიბისი ბანკი“	3.75%+რეფ. განაკ.	12.09.2019	12.09.2029	630	18,375	19,005
საბოლოო მფლობელებისგან მიღებული სესხი	7.95%	28.07.2016	12.09.2029	-	677	677
საბოლოო მფლობელებისგან მიღებული სესხი	-	28.12.2018	მოთხოვნამდე	168	-	168
				798	19,052	19,850
ფინანსური იჯარა				-	290	290
				798	19,342	20,140

გადასახდელი პროცენტი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 749 ათას ლარს და 127 ათას ლარს შესაბამისად. 2020 და 2019 წლებში სს "თიბისი ბანკის" სესხი უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით, (14,853 და 15,798 ათასი ლარი, შესაბამისად) , მფლობელების წილებითა და ასევე მოთხოვნის დასაფარად ბანკს შეუძლია ნებისმიერი აქტივის აღსრულებაში მიცემა. აღნიშნული ფინანსური გარანტიის კონტრაქტთან დაკავშირებით ჯგუფს არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ვალდებული იყო, შეესრულებინა ფინანსური და არაფინანსური პირობები ზემოთ წარმოდგენილ, სს"თიბისი ბანკის" სესხთან მიმართებაში. ამ პირობების მიხედვით დადგენილია ჯამური სასესხო ვალდებულებებისა და EBITDA-ს შესაბამისობის, სესხის მომსახურების კოეფიციენტის ლიმიტები და სხვადასხვა სახის არაფინანსური შეზღუდვები.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ შეზღუდვებს. მოთხოვნილი ფინანსური კოეფიციენტების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მსესხებელს შეუძლია მოითხოვოს დარჩენილი სესხის ნაშთის სრული ანაზღაურება.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფმა ვერ მიიღო პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილი ბანკისგან, რის გამოც მიღებული სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარსდგა როგორც მოკლევადიანი ვალდებულება. თუმცა, 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ, ჯგუფმა მოიპოვა პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილი სს „თიბისი ბანკისგან“, რის მიხედვითაც ბანკი არ მოითხოვდა სესხების ვადაზე ადრე დაფარვას ფინანსური და არაფინანსური პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მიღებული ჰქონდა პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილი ბანკისგან.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს სს „თიბისი ბანკისგან“ და საბოლოო მფლობელებისგან (მოთხოვნამდე სესხი) მიღებული აქვს სესხები ლარში, ხოლო საბოლოო მფლობელებისგან დოლარში.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,965	2,069
გადასახდელი ხელფასები	1,725	1,452
ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	198	173
	3,888	3,694

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

- მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს მშობელ და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს ან მისი მშობელ საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი
- მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი
- მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	კავშირი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		10	12
გია გრმელიძე	დირექტორი	10	12
მიღებული სესხები		877	845
ბადრი ჩაკვეტაძე	დამფუძნებელი	209	305
ქიმუქაძე ნინო	დამფუძნებელი	167	135
აბუთიძე კობა	დამფუძნებელი	167	135
კახა ყავლაშვილი	დამფუძნებელი	167	135
შოთა ინგოროყვა	დამფუძნებელი	167	135

ჯგუფის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

	კავშირი	2020	2019
სხვა ხარჯები		(8)	(8)
ბადრი ჩაკვეტაძე	დამფუძნებელი	(8)	(8)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა 1,604 და 1,835 ათასი ლარი 2020 და 2019 წლების პერიოდში, შესაბამისად.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც უნდა გაიშიფროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

19. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, ჯგუფი გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება ჯგუფს წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 545 ათასი ლარი, რაშიც არ იღებს მონაწილეობას შვილობილი კომპანიის გაუნაწილებელი ზარალი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონიტორინგი

ჯგუფის სამედიცინო საქმიანობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მხრიდან ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. კერძოდ, სააგენტო პერიოდულად ახორციელებს ჯგუფის მიერ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსთან წარდგენილი შესრულებების დოკუმენტური სისრულის შემოწმებას. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლოა ჯგუფს დაეკისროს ფინანსური სანქციები.

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა

მიღებულ სესხებთან დაკავშირებით ჯგუფს მოეთხოვება გარკვეული შეზღუდვების დაკმაყოფილება. აღნიშნულ შეზღუდვებთან შეუსაბამობა ჯგუფისთვის შესაძლოა იყოს უარყოფითი შედეგების მომტანი, რაც გამოიწვევს მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდას და საქმიანობის შესაძლო შეწყვეტას. ჯგუფი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა გარკვეულ შეზღუდვებს. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-15 შენიშვნა.

საიჯარო ხელშეკრულებები

ჯგუფმა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტისგან იჯარით მიიღო მიწის ორი ნაკვეთი 2017 წლის 21 მაისსა (ნაკვეთი 1 - საერთო ფართობი 1,714 კვ.მ) და 2018 წლის 5 აგვისტოს (ნაკვეთი 2 - საერთო ფართობი 3,306 კვ.მ) დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად. იჯარების სახელშეკრულებო ვადა შეადგენს 25 წელს, საიდანაც პირველზე არ მოქმედებს ვადის გაგრძელების უფლება, ხოლო მეორე კი მოიცავს ვადის გაგრძელებას, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ჯგუფს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტისგან მიღებული აქვს აღნაგობის უფლება ნაკვეთი 1-ის 300 კვ.მ-ის ფართზე და ნაკვეთი 2-ზე, რომლის ფარგლებშიც აქვს შენობა-ნაგებობების აშენების უფლება. ნაკვეთი 1-ზე ჯგუფს 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აშენებული აქვს შენობა (სასტუმრო), მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს განუსაზღვრელობა. კერძოდ, ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ ჯგუფმა უნდა დააბრუნოს მიწის ფართი იმ სახით, რა სახითაც მან იგი მიიღო, თუ მოხდება არსებული შენობის ღირებულების მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზღაურება მუნიციპალიტეტის მიერ. შენობის სასარგებლო მომსახურების ვადა შეფასებულია 45 წლით, მაგრამ აღნიშნული განუსაზღვრელობიდან გამომდინარე ჯგუფს საიჯარო ხელშეკრულება შეფასებული აქვს 25 წლით. ნაკვეთი 2-თან დაკავშირებით საიჯარო ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია უკანდაბრუნების გარემოება, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აანაზღაუროს ამ ფართზე აშენებული შენობა-ნაგებობების ღირებულების 2/3 წილი, ან შესაბამისი ღირებულების გადასახადები გამოქვითოს მომავალი საიჯარო გადასახდელებიდან.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ჯგუფმა შპს „დიეტფუდზე“ იჯარით გასცა მიწის 2 ნაკვეთი 2014 წლის 16 ივლისს (ნაკვეთი 3 - საერთო ფართობი 60 კვ.მ) დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად. იჯარის სახელშეკრულებო ვადა შეადგენს 10 წელს, ვადის გაგრძელების უფლებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მოიჯარეს ამ ნაკვეთზე აშენებული აქვს შენობა (კვების ობიექტი). აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს განუსაზღვრელობა, კერძოდ, ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ ჯგუფმა უნდა დაიბრუნოს მიწის ფართი იმ სახით, რა სახითაც მან იგი მიიღო, თუ მოხდება არსებული შენობის ღირებულების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოსყიდვა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯგუფს არ გააჩნია ამ სახის ვალდებულება ხელშეკრულების მიხედვით.

20. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

20. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

	არ ცვდება
მიწა	25
მიწის სარგებლობის უფლება	15-45
შენობა-ნაგებობები	5-10
სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	2-10
ავიჯი და კლინიკის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

20. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან. ჯგუფი არ ახდენს საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებით შეფასებას, რადგან ეს შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების გარეშე. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 7-45 წელს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ ჯგუფი აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

მარაგები

ჯგუფის მარაგები მოიცავს სამედიცინო მარაგებსა და წამლებს და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ („FIFO“) მეთოდით.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არარეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

20. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვი შედგება სარგებლისგან, რომელიც ჯგუფმა მიიღო დაკავშირებული მხარისგან უპროცენტო სესხის მიღების შედეგად, რაც წარმოადგენს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც პერიოდის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტის აღიარება ხდება შემდეგნაირად:

- გრანტი, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში აღიარდება მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულები მიღებადი გახდება;
- გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარდება, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება; და
- თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი აღიარდება როგორც ვალდებულება.

გრანტების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

ჯგუფის სახელმწიფო გრანტის ფარგლებში მიღებული შემოსავლები აღიარებული აქვს „სხვა შემოსავლად“.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

20. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური

სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს მულტიპროფილური ჰოსპიტალი
მედიქალ სიტი და ინფექციურ
დაავადებათა მართვის ცენტრი
კონსოლიდირებული მმართველობის
ანგარიშგება
2020 წელი

შინაარსი:

1. საქმიანობის მიმოხილვა	28
2. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	30
3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	30
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	30
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	31
6. სოციალური პასუხისმგებლობა.....	33
7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	33
8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	34

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინფექციური დაავადებათა მართვის ცენტრი“ დაფუძნდა 2012 წლის 14 თებერვალს, იგი წარმოიქმნა სს „დასავლეთის ინფექციურ დაავადებათა ცენტრის“ ბაზაზე და ფუნქციონირებას განაგრძობს, როგორც მრავალპროფილური ჰოსპიტალი.

2016 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წარმატებისაკენ, როდესაც შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინფექციური დაავადებათა მართვის ცენტრის“ მიერ დაიწყო ახალი კლინიკის მშენებლობა, რომლის მთავარი მიზანია რეგიონში შექმნას უპრეცედენტო სამედიცინო სერვისი, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას მიიღოს მაღალი სტანდარტების სამედიცინო მოსახურება, ქვეყნიდან გაუსვლელად.

კერძოდ, კლინიკამ 2016 წლის 26 ივლისს დაარსა შვილობილი კომპანია, რომელიც მდებარეობს იგივე იურიდიულ და ფაქტიურ მისამართზე. ასევე, ახორციელებს ანალოგიურ საქმიანობას. შვილობილმა კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2018 წლის 8 ოქტომბერს და სათაო საწარმოს წილობრივი ფლობა მასში შეადგენს 100%-ს.

საწარმო ექვემდებარება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ცალკეული სამედიცინო მომსახურებების განსახორციელებლად საჭირო ლიცენზირებას, ლაბორატორიის აკრედიტაციას და სხვა. სამედიცინო დაწესებულებას მიღებული აქვს შესაბამისი ნებართვები და ნებართვების დანართები სხვადასხვა სახის სამედიცინო საქმიანობის განხორციელებაში. სამედიცინო დაწესებულება აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სანებართვო-სალიცენზიო პირობებს.

მართალია, როგორც დედა კომპანია, ასევე, მისი შვილობილი კომპანიის საქმიანობის სახეა ჯანმრთელობის დაცვა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შვილობილი კომპანიის დაარსების შემდეგ დედა კომპანია სპეციალიზებული რჩება ინფექციურ დაავადებებზე, ხოლო შვილობილ კომპანიაში თითქმის ყველა სახის სამედიცინო მომსახურების მიღებაა შესაძლებელი.

დედა კომპანიის ნებართვები და ნებართვის დანართები:

- სანებართვო მოწმობის N 000804- სტაციონარული დაწესებულების ნებართვა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N003751-რადიოლოგიური საქმიანობა-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N003752-რეანიმაცია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N003753-ინფექციური დაავადებების მკურნალობა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N003754- ქირურგიული პროფილის საქმიანობა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N003755-ფთიზიატრია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N003756-ოტორინოლარინგოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N003757-ოფთალმოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N003758-ონკოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N003761-გინეკოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N004112-ლაბორატორია-კლინიკური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N004113-ლაბორატორია-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N004114-ლაბორატორია-იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N004115-ლაბორატორია-მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N004951-გადაუდებელი სამედიცინო დახმარება EMERGENCY;

შვილობილი კომპანიის ნებართვები და ნებართვის დანართები:

- სანებართვო მოწმობის N 000918- სტაციონარული დაწესებულების ნებართვა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005411-ოტორინოლარინგოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005409-რადიოლოგიური საქმიანობა-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005408-რეანიმაცია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005406-ქირურგიული საქმიანობა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005405-ონკოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005410-რადიოლოგიური საქმიანობა კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005404-დიალიზი;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005402-გადაუდებელი სამედიცინო დახმარება-EMERGENCY;

1. საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

- სანებართვო მოწმობის დანართი N005407-გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005403-ინტერვენციული კარდიოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005412-ოფთალმოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005766 - ნეიროქირურგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005439 - ორგანოს, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილებისა და უჯრედების აღება და/ან შენახვა და/ან გადანერგვა.

მომსახურების სახეები პროფილების მიხედვით:

დედა კომპანია:

2020 და 2019 წელი

- ✓ ბავშვთა ინფექციური განყოფილება
- ✓ მოზრდილთა ინფექციური განყოფილება
- ✓ მისაღები
- ✓ ინტენსიური თერაპია/რეანიმაცია
- ✓ ლაბორატორია
- ✓ ამბულატორიული სამსახური

შვილობილი კომპანია:

2020 და 2019 წელი

- ✓ ზოგადი ქირურგიული პროფილი
 - უროლოგია
 - ყბა-სახის ქირურგია
 - ორთოპედია-ტრავმატოლოგია
 - პროქტოლოგია
 - ზოგადი ქირურგია
 - კარდიოქირურგია
- ✓ რადიოლოგიური საქმიანობა
- ✓ ოტორინოლარინგოლოგია
- ✓ ონკოლოგია
- ✓ დიალიზი
- ✓ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება-EMERGENCY
- ✓ გინეკოლოგიური პროფილი
- ✓ ინტერვენციული კარდიოლოგია
- ✓ ანგიოლოგია
- ✓ ოფთალმოლოგია
- ✓ ნევროლოგია, ნეიროქურურგია
- ✓ პულმონოლოგია
- ✓ ენდოსკოპია
- ✓ ენდოკრინოლოგია

2020 წელიდან შვილობილ კომპანიაში დამატებით ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები:

- ✓ Covid-თერაპია
- ✓ Covid-რეანიმაცია

1. საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფის ძირითად დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამიდან მიღებული დაფინანსება.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს დაფინანსება ხდება სტაციონარული დადგენილი ტარიფებით, ლიმიტებით ან ფაქტიური ღირებულების მიხედვით.

2. სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს “მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინფექციური დაავადებათა მართვის ცენტრი“ ფოკუსირებულია ბაზრის წილისა და მომგებიანობის ზრდაზე. ის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი კლინიკაა და სარგებლობს მოსახლეობის მაღალი სანდოობით.

დაფუძნების დღიდან დროის განმავლობაში, ჯგუფში ჩამოყალიბდა ადამიანების გუნდი, რომელიც იზიარებს ჯგუფის განვითარების ერთიან ხედვას და ყველაფერს აკეთებს ერთ დროს სრულიად უსიცოცხლო საწარმოს მუდმივად პროგრესირებად კომპანიად გარდასაქმნელად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური და საწარმოო მაჩვენებლები იზრდება წლიდან წლამდე, რაც განხორციელებული ინვესტიციების, კონკრეტული საქმიანობების გაუმჯობესებისა და განვითარების პროგრამების შედეგია. როგორც ზემოთაა არის აღნიშნული, სუბიექტის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა შვილობილი კომპანიის დაფუძნების სახით.

ახალი კლინიკის მშენებლობა, რომელიც ფართით 2-ჯერ აღემატება დედა კომპანიას, რეგიონში ერთ-ერთი დიდი კლინიკაა, რომლის საშუალებითაც დედა კომპანიის ინტერესი არის და იყო რომ ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს საშუალება ქვეყნიდან (მათ შორის რეგიონიდანაც) გაუსვლელად მიიღონ ევროპული სტანდარტების სამედიცინო მომსახურება. რამოდენიმე ქვეყნის სამედიცინო სფეროსთან კლინიკას აკავშირებს სახელშეკრულებო ურთიერთობები. ორგანიზაციამ იზრუნა უცხოური გამოცდილების ადგილზე გაზიარებისთვის. მაგალითად, ბელარუსიდან სამი უმაღლესი კატეგორიის ექიმი 2019 წლის მაისიდან მუდმივ შტატში იმყოფებიან და ეწევიან სამედიცინო მომსახურებას ადგილზე. გარდა ამისა ავსტრიიდან პერიოდულად ჩამოდის წამყვანი ნეიროქირურგი-პროფესორი, რომელიც ადგილზე ატარებს ურთულეს ნეიროქირურგიულ ოპერაციებს. აღსანიშნავია, რომ ეს პაციენტები ადგილზე სარგებლობენ სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევის პროგრამით.

ჯგუფის საწარმოო მაჩვენებლები დღითი დღე იზრდება, რაც ყოველდღიურად მოსახლეობაში სანდოობის ამაღლების შედეგია.

მომავალში იგეგმება სხვადასხვა აუთისებელი სერვისების დამატება, მათ შორის ისეთი სირთულის როგორიცაა ღვიძლის ტრანსპლანტოლოგია, ამ მხრივაც აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს ბელარუსიის რესპუბლიკასთან, რომელსაც ღვიძლის ტრანსპლანტოლოგიის დარგში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

იგეგმება ოფთალმოლოგიის, ონკოქირურგიის, კარდიოქირურგიის, ნეიროქირურგიის, ანგიოქირურგიის სიმძლავრეების გაფართოება.

- ჯგუფში შექმნილია მარკეტინგის სამსახური და დღითიდღე ძლიერდება გაყიდვების სამსახური, რომელიც აქტიურად მუშაობს მოსახლეობაში ჰოსპიტალზე ცნობადობის ამაღლებაზე.
- კლინიკა მიზნად ისახავს სიკვდილიანობის მაჩვენებლის ევროპულ მახასიათებლამდე მიყვანას.
- განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მომსახურების სტანდარტებს, პაციენტთან დამოკიდებულებას, პაციენტის მკურნალობის გზის ყველა ეტაპზე, მათ შორის როცა ის გაწერილია ბინაზე, მასთან გონივრული პერიოდის განვლობაში ხდება დაკავშირება და მონიტორინგი ბინაზე დანიშნული მკურნალობისათვის.

3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი კომპანია შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“, რომლის საქმიანობის სფეროც, ასევე, სამედიცინო საქმიანობაა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2020 და 2019 წლების განმავლობაში ჯგუფის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას, ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების, ან გაუმჯობესების მიზნით.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)


5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა შვილობილი კომპანიის დაფუძნების შემდეგ. კომპანიამ შეძლო და რეგიონში შექმნა ახალი სამუშაო გარემო, რომელშიც დაასაქმა 400-მდე ადამიანი, შესაბამისად, 2019 წლის ბოლოსთვის ორივე კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობამ 647 ადამიანი შეადგინა, ხოლო საწოლ-ფონდი 85-დან გაიზარდა 255-მდე;

2020 წელს იგივე მაჩვენებლები ასე გამოიყურება: დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 653, საწოლფონდი 255.


2020 წლის 26 ოქტომბრიდან, შვილობილ კომპანიაში თერაპიული დეპარტამენტი და რეანიმაციის ნაწილი გადაკეთდა COVID განყოფილებად (COVID რეანიმაციას ემსახურებოდა საშუალოდ 10 საწოლი, ხოლო COVID თერაპიას 75 საწოლი. საწოლების შექმნა აღნიშნულ განყოფილებებში მოხდა სხვა განყოფილებების საწოლების შემცირების ხარჯზე). აღნიშნულ პროცესში, უპირველესი მიზანი იყო თანამშრომლებისა და მომხმარებლების უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამისათვის კომპანიას მოუწია ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ხარჯების წილი ამონაგებში:



5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

დაფინანსების წყაროები:



მაჩვენებელი	მაჩვენებლის განმარტება	31.12.2020	31.12.2020*	31.12.2019
სამუშაო კაპიტალი	მიმდინარე აქტივებს- მიმდინარე ვალდებულებები	(14,559)	2,594	3,849
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	ფული და ფულის ექვივალენტები/მიმდინარე ვალდებულებები	0,12	0,465	0,49
ლიკვიდობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები	0,37	1,45	1,86
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი(მარაგების გარეშე)	(მიმდინარე აქტივებს- მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები	0,30	1,20	1,63
EBITDA-ს მარჟა	EBITDA/ამონაგები	15%	15%	19%

*ჯგუფს სს „თი ბი სი“ ბანკისგან აღებული აქვს სესხი. სესხის სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, თითოეული საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის, ჯგუფი ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა სხვადასხვა ფინანსური თუ არაფინანსური მაჩვენებელი. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფი სრულად ვერ აკმაყოფილებდა ფინანსურ/არაფინანსურ შეზღუდვებს. დაწესებული შეზღუდვების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი ბანკს შეეძლო მოეთხოვა დარჩენილი სესხის ნაშთის სრული ანაზღაურება. პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილი ბანკისგან ჯგუფმა მიიღო 2020 წლის 31 დეკემბრის შემდგომ, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში მსს-სთვის განკუთვნილ ფასს-ების მიხედვით მიღებული სესხები წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფმა შეძლო პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილის მოპოვება ბანკისგან, რის მიხედვითაც ბანკი არ აპირებდა ვალდებულების დაფარვის დაუყოვნებლივ მოთხოვნას ან რაიმე სხვა შემზღუდველი პოლიტიკის გატარებას. ამიტომ, ზემოთ მოცემული კოეფიციენტები წარდგენილია ორი სახით: ფინანსური ანგარიშგების მიხედვით და მიღებული სესხის, როგორც მოკლევადიანი ვალდებულების უგულებელყოფით.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

2020 წლის ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე ნაწილობრივ გავლენა იქონია covid-19 პანდემიის გავრცელებამ. საყოველთაო იზოლაციამ შეამცირა პაციენტთან მომართვიანობა სხვა დაავადებათა მკურნალობის თვალსაზრისით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის 26 ოქტომბრიდან ჯგუფი ჩართული იყო კოვიდ-მობილიზებულ კლინიკათა შორის, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მომართვიანობის მაჩვენებელი; გარდა ამისა, ჯგუფის 2019 წლის სხვა შემოსავლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა IBRD-საგან მიღებულ 355 000 ევროს (1 150 000 ლარი) ოდენობით გრანტს, რომელიც ჯგუფმა მიიღო მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, EU4Business-ინიციატივის ფარგლებში. გრანტის მიღება განხორციელდა პროექტის დასრულებისა (იგულისხმება შვილობილი კომპანიის სახელით შექმნილი ახალი მრავალპროფილური კლინიკა) და შეძენების (სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა) ევროპის სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შემდგომ.

ნარჩენების მართვა

კლინიკის მთავარი ამოცანა ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, შესაბამისად ჯგუფი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვის საკითხებს, აღნიშნული გამოიხატება სხვადასხვა გზით, კერძოდ, ერთ-ერთი შეიძლება დავასახელოთ ნარჩენების მინიმიზაციის ამოცანის გადაჭრა. ნარჩენების შემცირების ყველაზე ეფექტური გზა, პირველ რიგში, არის მისი წარმოქმნის შემცირება, რასაც მრავალმხრივი უპირატესობები გააჩნია, ის ამცირებს დაბინძურებას, ზოგავს ფულს, ამცირებს გადასამუშავებელი, ნაგავსაყრელზე და ინსენატორებში განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას, იძლევა საშუალებას მაქსიმალურად იქნას პროდუქტი გამოყენებული. ამისათვის ჯგუფი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენისა და გახარჯვის საკითხს, მუდმივად კონტროლირდება ვადიანობა და შეძენის მიზნობრიობა. არ ხდება ზედმეტი მარაგების შექმნა და შესაბამისად ვადაგასული საქონლის არსებობა, რაც თავიდან გვაცილებს დაბინძურების საფრთხეს.

ამასთან, საავადმყოფოში ადგილი აქვს განსაკუთრებით საშიში ნარჩენების არსებობას, დაავადებული პაციენტების მიერ ერთჯერადი მოხმარების საგნების გაუნებელყოფის მიზნით მიმდინარეობს განსაკუთრებული მონიტორინგი. ასეთი სახის ნარჩენების თავმოყრა ხორციელდება სპეციალურ, ბასრი სამედიცინო ნარჩენების შემკრებ-გამანადგურებელ კონტეინერებში.

გარემოს დაცვითი საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიხატება სხვა ისეთ აქტივობებშიც, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი თავად მომუშავე პერსონალი. მაგალითად პერიოდულად ხდება მათი მხრიდან მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.

ჯგუფში უკვე ტრადიციად იქცა ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის გამწვანების საკითხი. უკვე განხორციელდა რამოდენიმე ასეთი პროექტი.

6. სოციალური პასუხისმგებლობა

ჯგუფი თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო გარემოს, მოქმედებს შრომის კოდექსის შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჯგუფში დანერგილია ვენტილაციის, გათბობა-გაგრილების, სტერილური ჰაერის ნაკადების კონტროლის, ტემპერატურის, პაციენტთა უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ევროპული სტანდარტების სრულიად ავტომატიზებული სისტემები, ასევე ფუნქციონირებს დაბინძურების რისკის სისტემური შეფასების მექანიზმი.

ამასთან დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენასა და ეპიდზედამხედველობას, რაც ჰოსპიტალური ინფექციების გავრცელების პრევენციის საწინდარია.

7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 და 2019 წლების განმავლობაში ჯგუფის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ბიზნესი დიდ წილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე. საანგარიშგებო წელს, შემოსავლების უდიდესი ნაწილი მოდის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაზე. დაფინანსების ერთ წყაროზე ასეთი დოზით დამოკიდებულებას კლინიკა მიიჩნევს ერთ-ერთ პოტენციურ რისკად.

საოპერაციო ხასიათის რისკებიდან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ რეგულაციების ხშირი ცვლა.

ლარის კურსის ცვალებადობისა და შესაბამისად, ინფლაციის რეალური მაჩვენებლის ზრდა, როგორც სამომხმარებლო ფასების ინდექსის, ისე მომწოდებლების ფასების ინდექსის მხრივ, იწვევს გაურკვევლობას და აქედან გამომდინარე რისკებს.

დამატებით, რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება ასევე, პროფესიული საქმიანობისას წარმოშობილი დავები და ფინანსური სანქციები, თუმცა წარსული გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლოა ვივარაუდოთ რომ საწარმოში დანერგილი სხვადასხვა ხარისხობრივი მოთხოვნების გატარებითა და კონტროლით ეს რისკი შემცირებულია მაქსიმალურად, რასაც მოწმობს მაკონტროლებელი ორგანოების მიერ განხორციელებული მონიტორინგის პოზიტიური შედეგები.

ჯგუფის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციული რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს, ასევე, კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა, თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა, სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევის და რეაგირების პოლიტიკა, პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ.

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა, რამაც გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება გლობალურად. 2020 წლის

მარტში საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გარკვეული გამონაკლისების გარდა ბიზნესის შეჩერების შესახებ. ასეთ გამონაკლისთა შორის არის საავადმყოფოები. ხელმძღვანელობის აზრით, ჯანმრთელობის დაცვა არის გადამწყვეტი მნიშვნელობის პანდემიის დროს და მართალია არსებობს გაურკვევლობა მისი მომავალში გავრცელების, მაგრამ საავადმყოფო არ დგას ბიზნესის შეჩერების რისკის წინაშე. აღნიშნულის დასტურად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ჯგუფი 2020 წლის 26 ოქტომბრიდან ჩაერთო COVID-19-პანდემიის მართვაში, როგორც მობილიზებული კოვიდ-კლინიკა. მთავრობა სრულად ანაზღაურებს COVID-ის მკურნალობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და COVID-იანი პაციენტების მიერ დაკავებულ ყოველ საწოლზე ფიქსირებულ ანაზღაურებას იხდის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

გია გრძელიძე

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ბიზნესი დიდ წილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე. საანგარიშგებო წელს, შემოსავლების უდიდესი ნაწილი მოდის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაზე. დაფინანსების ერთ წყაროზე ასეთი დოზით დამოკიდებულებას კლინიკა მიიჩნევს ერთ-ერთ პოტენციურ რისკად.

საოპერაციო ხასიათის რისკებიდან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ რეგულაციების ხშირი ცვლა.

ლარის კურსის ცვალებადობისა და შესაბამისად, ინფლაციის რეალური მაჩვენებლის ზრდა, როგორც სამომხმარებლო ფასების ინდექსის, ისე მომწოდებლების ფასების ინდექსის მხრივ, იწვევს გაურკვევლობას და აქედან გამომდინარე რისკებს.

დამატებით, რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება ასევე, პროფესიული საქმიანობისას წარმოშობილი დავები და ფინანსური სანქციები, თუმცა წარსული გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლოა ვივარაუდოთ რომ საწარმოში დანერგილი სხვადასხვა ხარისხობრივი მოთხოვნების გატარებითა და კონტროლით ეს რისკი შემცირებულია მაქსიმალურად, რასაც მოწმობს მაკონტროლებელი ორგანოების მიერ განხორციელებული მონიტორინგის პოზიტიური შედეგები.

ჯგუფის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციული რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს, ასევე, კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა, თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა, სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევის და რეაგირების პოლიტიკა, პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ.

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა, რამაც გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება გლობალურად. 2020 წლის

მარტში საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გარკვეული გამონაკლისების გარდა ბიზნესის შეჩერების შესახებ. ასეთ გამონაკლისთა შორის არის საავადმყოფოები. ხელმძღვანელობის აზრით, ჯანმრთელობის დაცვა არის გადამწყვეტი მნიშვნელობის პანდემიის დროს და მართალია არსებობს გაურკვევლობა მისი მომავალში გავრცელების, მაგრამ საავადმყოფო არ დგას ბიზნესის შეჩერების რისკის წინაშე. აღნიშნულის დასტურად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ჯგუფი 2020 წლის 26 ოქტომბრიდან ჩაერთო COVID-19-პანდემიის მართვაში, როგორც მოხილიზებული კოვიდ-კლინიკა. მთავრობა სრულად ანაზღაურებს COVID-ის მკურნალობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და COVID-იანი პაციენტების მიერ დაკავებულ ყოველ საწოლზე ფიქსირებულ ანაზღაურებას იხდის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

 გიორგი გრმელიძე

